



**ახალციხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
ბრძანება**



ბრძანება:ბ13. 1323318001

თარიღი:14/11/2023

**ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და  
ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების  
დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული  
კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლის მე-2  
პუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ საქართველოს კანონის 78-ე  
მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული  
კოდექსის მე-9 თავის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაიწყო საჯარო  
ადმინისტრაციული წარმოება ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის  
პროექტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების  
დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით.
2. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024  
წლის ბიუჯეტის პროექტსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების  
პრიორიტეტების დოკუმენტზე წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და  
წინადადებები ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არაუგვიანეს 2023  
წლის 25 ნოემბრისა. მოსაზრებების წარდგენისას, პირი უფლებამოსილია არ  
მიუთითოს თავისი ვინაობა.
3. გამოიცეს შესაბამისი ცნობა.
4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია-ცნობა, ეს  
ბრძანება, ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და  
ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი  
გავრცელდეს სოციალური ქსელის Facebook.com მეშვეობით, ახალციხის  
მუნიციპალიტეტის გვერდზე <http://akhaltsikhe.gov.ge/> და განცხადების სტენდის  
საშუალებით.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასანივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ ახალციხე, მებაღეშვილის ქ. №62).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





მოქალაქეთა საყურადღებოდ!  
ცნობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო გაცნობებთ, „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 14 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად, ახალციხის საკრებულოში დაწყებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (საკრებულოს აპარატში), არაუგვიანეს 2023 წლის 25 ნოემბრისა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართია: ქ.ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ.№2, ადმინისტრაციული შენობის მეორე სართული.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ სოციალური ქსელის Facebooke.com მეშვეობით - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე <http://akhaltsikhe.gov.ge/> საშუალებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში - განცხადებების სტენდზე, ან ეგზემპლარი მოიკითხოთ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა-დამტკიცება, სავარაუდოდ, დაგეგმილია 2023 წლის ბოლოსათვის.

14 ნოემბერი 2023 წელი, ქ.ახალციხე

საკრებულოს თავმჯდომარე-



დავით ლომიძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 12-122331834  
თარიღი: 14/11/2023

ადრესატი: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ დავით ლომიძეს

ბატონო დავით,

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია წარმოგიდგენთ განსახილველად 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართული დოკუმენტაციით.

პატივისცემით:

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის  
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული  
იურიდიული პირების ბიუჯეტების დანართი

2024 წლის ბიუჯეტისათვის

**ახალციხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების 2024 წლის ბიუჯეტი**

დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
<b>რიცხოვნობა</b>	<b>1 192</b>	104	1 088	
<b>შემოსულობები</b>	<b>15 096,8</b>	<b>1 733,8</b>	<b>13 363,0</b>	
სხვა შემოსავლები	1 733,8	1 733,8		
სუბსიდია	13 144,6		13 144,6	
არაფინანსური აქტივი	218,4		218,4	
<b>გადასახდელები</b>	<b>15 096,8</b>	<b>1 733,8</b>	<b>13 363,0</b>	
შრომის ანაზღაურება	7 481,5	411,1	7 070,4	
საქონელი და მომსახურება	7 294,2	1 305,6	5 988,6	
სოციალური უზრუნველყოფა	27,5	2,0	25,5	
სხვა ხარჯები	67,2	7,1	60,1	
არაფინანსური აქტივების ზრდა	226,4	8,0	218,4	
<b>ნაშთის ცვლილება</b>				

ა(ა) ი პ "ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება"				
დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
<b>რიცხოვნობა</b>	<b>97</b>	10	87	
<b>შემოსულობები</b>	<b>694,5</b>	<b>30,0</b>	<b>664,5</b>	<b>0.0</b>
სხვა შემოსავლები	30,0	30,0		
სუბსიდია	652,5		652,5	
არაფინანსური აქტივები	12,0		12,0	

გადასახდელები	694,5	30,0	664,5	0,0
შრომის ანაზღაურება	498,8		498,8	
საქონელი და მომსახურება	180,6	30,0	150,6	
სოციალური უზრუნველყოფა	3,0		3,0	
სხვა ხარჯები	0,1		0,1	
არაფინანსური აქტივების ზრდა	12,0		12,0	
ნაშთის ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0

ა(ა) ი კ "ახალციხის ციხე"

დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
რიცხოვნობა	94	94		
შემოსულობები	1 187,8	1 187,8		0,0
სხვა შემოსავლები	1 187,8	1 187,8		
სუბსიდია	0			
არაფინანსური აქტივები				
გადასახდელები	1 187,8	1 187,8		0,0
შრომის ანაზღაურება	356, 6	356, 6		
საქონელი და მომსახურება	830,1	830,1		
სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0		
სხვა ხარჯები	1,1	1,1		
არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0		
ნაშთის ცვლილება	0,0	0,0		0,0

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"

დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
რიცხოვნობა	474		474	

შემოსულობები	5 689.0		5 689.0	0,0
სხვა შემოსავლები				
სუბსიდია	5 644,		5 644,	
არაფინანსური აქტივები	45,0		45,0	
გადასახდელები	5 689.0		5 689.0	0,0
შრომის ანაზღაურება	3 982,0		3 982,0	
საქონელი და მომსახურება	1 645,0		1 645,0	
სოციალური უზრუნველყოფა	17,0		17,0	
სხვა ხარჯები				
არაფინანსური აქტივების ზრდა	45,0		45,0	
ნაშთის ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0
<b>ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი</b>				
დასახელება	<b>2024 წლის გეგმა</b>			
	სულ	<b>მათ შორის</b>		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი (მიზნობრივი ტრანსფერი)
<b>რიცხოვნობა</b>	<b>13</b>		<b>13</b>	
შემოსულობები	227.4	65,0	162,4	
სხვა შემოსავლები	65.0	65,0		
სუბსიდია	157.3		157,3	
არაფინანსური აქტივები	5.1		5,1	
გადასახდელები	227.4	65,0	162,4	
შრომის ანაზღაურება	77.8	7.0	70,8	
საქონელი და მომსახურება	142.5	56.0	86,5	
სხვა ხარჯები				
არაფინანსური აქტივების ზრდა	7.1	2.0	5,1	
ნაშთის ცვლილება	0,0	0,0	0,0	
<b>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება</b>				
დასახელება	<b>2024 წლის გეგმა</b>			
	სულ	<b>მათ შორის</b>		



		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
<b>რიცხოვნობა</b>	<b>76</b>		<b>76</b>	
<b>შემოსულობები</b>	<b>1 026,5</b>	<b>200,0</b>	<b>826,5</b>	<b>0.0</b>
სხვა შემოსავლები	200,0	200,0		
სუბსიდია	801,5		801,5	
არაფინანსური აქტივები	25,0		25,0	
<b>გადასახდელები</b>	<b>1 026,5</b>	<b>200,0</b>	<b>826,5</b>	<b>0.0</b>
შრომის ანაზღაურება	255,6		255,6	
საქონელი და მომსახურება	743,9	200,0	543,9	
სოციალური უზრუნველყოფა	0,0		0,0	
სხვა ხარჯები	2,0		2,0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,0		25,0	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
<b>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება</b>				
<b>დასახელება</b>	<b>2024 წლის გეგმა</b>			
	<b>სულ</b>	<b>მათ შორის</b>		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
<b>რიცხოვნობა</b>	<b>72</b>		72	
<b>შემოსულობები</b>	<b>1 223.8</b>		<b>1 223.8</b>	<b>0,0</b>
სხვა შემოსავლები				
სუბსიდია	1 198.0		1 198.0	
არაფინანსური აქტივები	25.8		25.8	
<b>გადასახდელები</b>	<b>1 223,8</b>		<b>1 223,8</b>	<b>0,0</b>
შრომის ანაზღაურება	632.1		632.1	
საქონელი და მომსახურება	510.9		510.9	
სოციალური უზრუნველყოფა				
სხვა ხარჯები	55.0		55.0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	25.8		25.8	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

ა(ა)იპ "სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა"

დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
<b>რიცხოვნობა</b>	<b>15</b>		<b>15</b>	
<b>შემოსულობები</b>	<b>190,8</b>		<b>190,8</b>	<b>0,0</b>
სხვა შემოსავლები	0		0	
სუბსიდია	188,8		188,8	
არაფინანსური აქტივები	2,0		2,0	
<b>გადასახდელები</b>	<b>190,8</b>		<b>190,8</b>	<b>0,0</b>
შრომის ანაზღაურება	146,4		146,4	
საქონელი და მომსახურება	40,9		40,9	
სოციალური უზრუნველყოფა	1,5		1,5	
სხვა ხარჯები				
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,0		2,0	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

ა(ა)იპ "სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა"

დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
<b>რიცხოვნობა</b>	<b>69</b>		<b>69</b>	
<b>შემოსულობები</b>	<b>522,8</b>		<b>522,8</b>	
სხვა შემოსავლები				
სუბსიდია	505,3		505,3	
არაფინანსური აქტივები	17,5		17,5	
<b>გადასახდელები</b>	<b>522,8</b>		<b>522,8</b>	
შრომის ანაზღაურება	465,0		465,0	
საქონელი და მომსახურება	37,3		37,3	

სოციალური უზრუნველყოფა	0,0		0,0	
სხვა ხარჯები	3,0		3,0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	17,5		17,5	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>0,0</b>		<b>0,0</b>	<b>0,0</b>

ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი				
დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
<b>რიცხოვნობა</b>	<b>209</b>		<b>209</b>	
<b>შემოსულობები</b>	<b>3 308,5</b>	<b>97,5</b>	<b>3 211,0</b>	
სხვა შემოსავლები	97,5	97,5		
სუბსიდია	3 125,0		3 125,0	
არაფინანსური აქტივები	<b>86,0</b>		<b>86,0</b>	
<b>გადასახდელები</b>	<b>3 308, 5</b>	<b>97,5</b>	<b>3 211,0</b>	
შრომის ანაზღაურება	413,2	0	413,2	
საქონელი და მომსახურება	2 792,3	84,5	2 707,8	
სოციალური უზრუნველყოფა	6,0	2,0	4,0	
სხვა ხარჯები	6,0	6,0	0,0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	91,0	5,0	86,0	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი				
დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
<b>რიცხოვნობა</b>	<b>7</b>		<b>7</b>	

<b>შემოსულობები</b>	<b>238,2</b>		<b>238,2</b>	<b>0,0</b>
სხვა შემოსავლები				
სუბსიდია	<b>238,2</b>		<b>238,2</b>	
არაფინანსური აქტივები	<b>0</b>		<b>0</b>	
<b>გადასახდელები</b>	<b>238,2</b>		<b>238,2</b>	<b>0,0</b>
შრომის ანაზღაურება	72,5		72,5	
საქონელი და მომსახურება	165,7		165,7	
სოციალური უზრუნველყოფა	0		0	
სხვა ხარჯები	0		0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	0		0	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

<b>ა(ა) ი კ „სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“</b>				
<b>დასახელება</b>	<b>2024 წლის გეგმა</b>			
	<b>სულ</b>	<b>მათ შორის</b>		
		<b>მ.შ. საკუთარი სახსრები</b>	<b>მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი</b>	<b>მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი</b>
<b>რიცხოვნობა</b>	<b>4</b>			
<b>შემოსულობები</b>	<b>183,5</b>	<b>153,5</b>	<b>30,0</b>	
სხვა შემოსავლები	153,5	153,5		
სუბსიდია	30,0		30,0	
არაფინანსური აქტივები	0	<b>0</b>		
<b>გადასახდელები</b>	<b>183,5</b>	<b>153,5</b>	<b>30,0</b>	
შრომის ანაზღაურება	77,5	47,5	30,0	
საქონელი და მომსახურება	105,0	105,0	0	
სოციალური უზრუნველყოფა			0	
სხვა ხარჯები			0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,0	1,0	0	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი				
დასახელება	2024 წლის გეგმა			
	სულ	მათ შორის		
		მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი
რიცხოვნობა	62		62	
შემოსულობები	604,0		604,0	
სხვა შემოსავლები				
სუბსიდია	604,0		604,0	
არაფინანსური აქტივები				
გადასახდელები	604,0		604,0	
შრომის ანაზღაურება	504,0		504,0	
საქონელი და მომსახურება	100,0		100,0	
სოციალური უზრუნველყოფა				
სხვა ხარჯები				
არაფინანსური აქტივების ზრდა				
ნაშთის ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0



ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2024 წელს გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების დანართი



## სარჩევი

<u>სხვა ხარჯების ღონისძიებები</u> .....	1, 2
<u>01 01 01 ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო</u> .....	3
<u>01 01 02 ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია</u> .....	3 3
01 01 03 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება 3	
<u>01 02 01 სარეზერვო ფონდი</u> .....	4
<u>02 07 02 შენობების, ფასადების და სახურევების რეაბილიტაცია</u> .....	4
<u>04 03 ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს</u> .....	4
<u>05 01 01 სპორტული ღონისძიებები</u> .....	4
05 02 07 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება .....	5
<u>05 02 09 კულტურული ობიექტებისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</u> .....	5
<u>05 03 01 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა</u> .....	5
<u>06 02 05 ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება</u> .....	5
<u>06 02 06 იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება</u> .....	5
<u>06 02 10 ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება</u> .....	6

➤ სხვა ხარჯების ღონისძიებები

➤ 01 01 01 -ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
დეპუტატების უფლებამოსილების ხარჯები	183,0

➤ 01 01 02 -ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია



ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
პერსონალის, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო ხარჯი	166,0

➤ 01 01 03 -ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
პერსონალის დაზღვევის ხარჯი	0,0

➤ 01 02 01 სარეზერვო ფონდი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
სარეზერვო ფონდი	200,0

➤ 02 07 02- შენობების, ფასადების და სახურევების რეაბილიტაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ქალაქ ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩების N15 და N25 საცხოვრებელი სახლების კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, და სხვა.	500,0

➤ 04 03 ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიები	44,3

➤ 05 01 01 სპორტული ღონისძიებები

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერი	17,0

05 02 09 კულტურული მემკვიდრეობის და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები	200,0

➤ 05 03 01 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერი	5,0

➤ 06 02 05 ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ერთჯერადი დახმარება ხანძრით დაზარალებულთათვის	18,0

➤ 06 02 06 იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ერთჯერადი დახმარება უკიდურესად გაჭირვებულთათვის	25,0

➤ 06 02 10 ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
სოფელ აწყურში მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	24,0

შენიშვნა: გათვალისწინებულია მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.



ახალციხის მუნიციპალიტეტის კაპიტალური  
ბიუჯეტის დანართი  
2024 წლის ბიუჯეტისთვის



## სარჩევი

2024-2027 წლების ბიუჯეტების კაპიტალური ხარჯები .....	3
ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის პროექტები.....	4
02 01 02 -ახალი გზების მშენებლობა .....	4
02 01 03 -ნაპირსამაგრი სამუშაოები.....	4
02 02 03 - წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია .....	4
02 03 02 - გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა .....	4
02 07 02 -შენობების, ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია .....	5
02 07 03 - პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია.....	5
განათლების პრიორიტეტის პროექტები.....	5
04 02 02- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა .....	5
05 01 02- სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა .....	5
05 02 08- კულტურული ობიექტების ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	5

## 2024-2027 წლების ბიუჯეტების კაპიტალური ხარჯები

2024-2027 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით დაგეგმილია შემდეგი კაპიტალური (ინფრასტრუქტურული) ხარჯების გაწევა:

პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/დონისძიებების დასახელება		სულ ჯამი		2024 წელი		2025 წელი		2026 წელი		2027 წელი	
	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით
02 01 02	ახალი გზების მშენებლობა	8 612,5	9 200,0	2 012,5	2000	2 100,0	2 200,0	2 200,0	2 400,0	2 300,0	2 600,0
02 01 03	ნაპირსამაგრი სამუშაოები	230	0	50	0	55	0	60	0	65	0
02 02 03	წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	400,0	0	400,0	0	450,0	0	500,0	0	550,0	0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	700	0	100	0	150	0	200	0	250	0
02 07 02	შენობების ფასადების და სახურეების რეაბილიტაცია	2 450,00	2 500,00	500	550	600	500	650	650	700	700
02 07 03	პარკების და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1 500,00	0	300	0	350	0	400	0	450	0
02 07 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2 681,9	2 448,00	581,9	612	600	612	700	612	800	612
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	561	0	261	0	300,0	0	350,0	0	400,0	0
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	700	0	100	0	150	0	200	0	250	0
05 02 08	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	450,0	0	100,0	0	150,0	0	200	0	250,0	0
	<b>სულ ჯამი</b>	<b>18285,4</b>	<b>14 148,0</b>	<b>4 405,4</b>	<b>3612</b>	<b>4 455,0</b>	<b>3612</b>	<b>4 610,0</b>	<b>3 662,0</b>	<b>4 815,0</b>	<b>3 912,0</b>

## ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის პროექტები

### 02 01 02 -ახალი გზების მშენებლობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ქალაქ ახალციხეში ხანძთელის, მთაწმინდელის და თამარაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია	587,0
სოფელ აწყურისა და სოფელ თისელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	806,3
სოფელ კლდეში არსებული მონოლითური რკინაბეტონის ხიდის რეაბილიტაცია	184,4
სოფელ აწყურის მე-6, მე-7 და მე-12-ე უბნების გზის რეაბილიტაცია	434,3

### 02 01 03 -ნაპირსამაგრი სამუშაოები

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩის მიმდებარედ ფოცხოვისწყალზე ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა;	50,0

### 02 02 03 - წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
სოფელ ღრელის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	220,0
სოფელ სხვილისის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	180,0

### 02 03 02 - გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ახალციხეში ასპინძის ქუჩის გარე განათების რეაბილიტაცია	100,0

02 07 02 - შენობების, ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N57-ში, კოსტავას ქუჩის N41-43-45-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია	500,0
ავტოფარეხის მოწყობა	500,0

02 07 03 - პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
სოფელ მინაძის სკვერის მშენებლობა;	150,0
ქალაქ ახალციხეში ტბის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;	100,0
ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის N111-ის მიმდებარედ სკვერის მშენებლობა	50,0

განათლების პრიორიტეტის პროექტები

04 02 01- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ქალაქ ახალციხეში იაძის ქუჩაზე საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;	261,0

05 01 02- სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 202 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
სოფელ წყრუთში სტადიონის მოწყობა	100,0

05 02 08- კულტურული ობიექტების ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის ღონისძიებები	სულ თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით ათას ლარში
ქალაქ ახალციხეში ფარნავაზ მეფის ქუჩის N2-ში მდებარე სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაცია	100,0

შენიშვნა: გათვალისწინებულია მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.



ახალციხის მუნიციპალიტეტის  
პრიორიტეტების დოკუმენტი

2024-2027 წლები



## შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ.....	3
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	6
შემოსულობები.....	6
გადასახდელები.....	6
ბიუჯეტის ბალანსი.....	7
2022-2023 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა.....	8
2022 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	8
2023 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	11
თავი III. ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები	
საშუალოვადიან პერიოდში.....	15
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	17
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	29
განათლება.....	30
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.....	33
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	45
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.....	52

# თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

## ისტორია

მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში შედიოდა, 1917–30 წლებში — აღმოსავლეთ საქართველოში ახალციხის მაზრის სახელწოდებითაა, 1930 წლიდან კი ცალკე რაიონია. 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიას გამოეყო ქალაქი ახალციხე; ამჟამად კვლავ ერთი მუნიციპალიტეტია.

## მდებარეობა

მუნიციპალიტეტი მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, უჭირავს მტკვრისა და ფოცხოვის ხეობები. ახალციხის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხარაგაულისა და ბორჯომის, აღმოსავლეთიდან - ასპინძის, ხოლო დასავლეთიდან - ადიგენის მუნიციპალიტეტი. სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.

## ფართობი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ფართობი ქვეყნის მთლიანი ფართობის (69 700 კვ. კმ) 1,4%-ს, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 15,7%-ს შედგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორია — 1010,3 კვ.კმ-ია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 51728 ჰა. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ფოცხოვი და მისი შენაკადები - ქვაბლიანი და ურაველი. პატარა მდინარეებია: წინუბნისწყალი და ჭვინთაღელე. მდინარეები გაზაფხულზე წყალუხვია, შემოდგომიდან მათი დონე იკლებს და ზამთარში მინიმუმამდე დადის. თავსხმა წვიმების დროს იცის პერიოდული ნაკადულების ღვარცოფული მოვარდნა. მდინარეებს იყენებენ სარწყავად. აღსანიშნავია წყალთბილას გოგირდოვანი თერმული წყალი, ურაველისა და გურკელის მინერალური სამკურნალო წყლები, აგრეთვე ფერსის და ტატანისის მინერალური სასმელი წყლები.

## გეოგრაფია

ახალციხის მუნიციპალიტეტი მდინარეის სხვადასხვა საზადოებით. სოფელ მუსხის მიდამოებში არის დიატომიტის საზადო, სოფელ ბოგასა და გიორგიწმინდაში - აქატის საზადოები, ხოლო ვალესა და ნაოხრების მიმდებარე ტერიტორიაზე არის ახალციხის მურა ნახშირის საზადო. ნასოფლარ ოდუნდას (ანდრიაწმინდის თემი) ტერიტორიაზე არის ტუფის ქვის კარიერი, მოიპოვება ბუნებრივი სამშენებლო მასალა.

ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, სადაც ძირითადად განვითარებულია: მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეკარტოფილეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურებიც. მუნიციპალიტეტში მოქმედებს რძის და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები, მეფრინველეობის ფაბრიკა, საკალმახე მეურნეობები, ასევე აქტიურად ხდება ინერტული მასალების მოპოვება და გადამამუშავება.

## მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 39 წევრისგან. მათგან 26 არჩეულია პროპორციული, ხოლო 13 მაჟორიტარული სისტემით. წარმომადგენლობით ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისია და სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

ახალციხის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ს მეშვეობით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სულ 16 ადმინისტრაციულ ერთეულში - ტერიტორიულ თემშია თავმოყრილი, საიდანაც ორი ქალაქია ( ქალაქი ახალციხე და ქალაქი ვალე) და 14 სასოფლო თემი - აწყური, აგარა, ფერსა, კლდე, სვირი, ელიაწმინდა, წყრუთი, სხვილისი, სამელი, ჰამაჯი, წყალთბილა,მინაძე, ურაველი, ანდრიაწმინდა.

### მოსახლეობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სტატისტიკის დეპარტამენტის 2022 წლის მონაცემების მიხედვით **39 600** კაცია. მუნიციპალიტეტში 47 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 2 ქალაქი და 45 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ახალციხის მუნიციპალიტეტი 27-ე ადგილზეა.

მუნიციპალიტეტში დასახლებული 38,895 ათასი მოსახლიდან 20,456 ათასი ქალია, ხოლო 19,144 ათასი მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 22,254 ათასი პირი, სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 17,346 ათასი მაცხოვრებელი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 1,06 %-ს, ხოლო, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 26,87%-ს შეადგენს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2022 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3 736 400	69 700
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	147 400	6 412,8
ახალციხის მუნიციპალიტეტი	39 600	1 010,3
პროცენტი საქართველოსთან	1,06%	1,4%
პროცენტი რეგიონთან	26,87%	15,7%

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 8 693 პენსიონერი. 774 ოჯახი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეა.

### ეკონომიკა

ახალციხის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა საბადოებით. სოფელ მუსხის მიდამოებში არის დიატომიტის საბადო, სოფელ ბოგასა და გიორგიწმინდაში - აქატის საბადოები, ხოლო ვალესა და ნაოხრების მიმდებარე ტერიტორიაზე არის ახალციხის მურა ნახშირის საბადო, ხოლო ნასოფლარი ოდუნდას (ანდრიაწმინდის თემი) ტერიტორიაზე არის ტუფის ქვის კარიერი, მოიპოვება ბუნებრივი სამშენებლო მასალა.

ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, საიდანაც ძირითადად განვითარებულია: მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეკარტოფილეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურებიც. მუნიციპალიტეტში მოქმედებს რძის და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები, მეფრინველეობის ფაბრიკა, საკალმახე მეურნეობები, ასევე აქტიურად ხდება ინერტული მასალების მოპოვება და გადამამუშავება.

### **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი ვალის 40 კილომეტრიანი რკინიგზის მონაკვეთი; საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მონაკვეთები: ხაშური-ახალციხე-ვალე 96 კმ და ხაშური-ახალციხე-ნინოწმინდის 180 კმ გზები.

### **საჯარო დაწესებულებები**

ახალციხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები . მათ შორისაა:

- 38 საჯარო და 1 კერძო სკოლა;
- 28 საბავშვო ბაღი;
- 4 კულტურის სახლი;
- 13 ახალგაზრდული ცენტრი;
- 13 ბიბლიოთეკა;
- მუნიციპალიტეტში არის 1 სკოლა-მუზეუმი;
- სსიპ ახალციხის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი;
- სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- სამუსიკო სკოლა;
- სამხატვრო სკოლა;
- სპორტული გაერთიანება;

### **ღირსშესანიშნაობები**

ღირსშესანიშნაობებიდან გამოსაყოფია ქალაქ ახალციხის (რაბათის) ციხე, წმ. მარინეს ეკლესია, ამაღლების ეკლესია, შალვა ახალციხელის სახელობის ეკლესია, აწყურის ციხე და ღვთისმშობლის კათედრალი; ასევე, სლესის (მოქცევის) ციხე; ვალეს ღვთისმშობლის ეკლესია; თისელის ციხე და ეკლესიები; საყუნეთის ეკლესია; ჯვრის ციხე სოფელ ჭვინთაში; ეკლესია სოფელ ელიაწმინდაში, ჯაყისმანის და აგარის მამათა მონასტრები, ბიეთის ეკლესია, მარდის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, ორცეფის ციხე, ხეოთის წმინდა ბარბარეს ეკლესია, სხვილისის კათოლიკური ეკლესია, ოხერის წმინდა გიორგის ეკლესია, საფარის სამონასტრო კომპლექსი და სხვ.

### **ბიუჯეტი**

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 39,0 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობებთან 32,0 მლნ ლარს (82%) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. არასაკუთარი შემოსავლები შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### შემოსულობები

2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2023-2027 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება.

### ახალციხის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2022–2027 წლებში

დასახელება	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 პროექტი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი
<b>შემოსულობები სულ</b>	<b>32 758,4</b>	<b>39 040,2</b>	<b>32 500,0</b>	<b>38 535,0</b>	<b>40 461,7</b>	<b>42 484,8</b>
შემოსავლები	32 524,8	38 548,3	32 070,0	38 083,5	39 987,6	41 987,1
<b>გადასახადები</b>	<b>23 495,0</b>	<b>27 846,0</b>	<b>29 023,1</b>	<b>21 471,1</b>	<b>23 086,7</b>	<b>24 701,7</b>
საშემოსავლო გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
დამატებული ღირებულების გადასახადი	17 559,0	21 546,0	23 223,1	24 152,1	25 359,7	26 627,7
ქონების გადასახადი	5 936,0	6 300,0	5 800,0	6 615,0	6 945,7	7 293,0
გრანტები	5 798,0	7 785,1	569,8	4 898,2	5 143,1	5 400,3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები						
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	5 798,0	7 785,1	569,8	4 898,2	5 143,1	5 400,3
გათანაბრებითი ტრანსფერი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი	336,7	365,0	269,8	383,3	402,4	422,5
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	5 461,3	7 420,1	300,0	4 515,0	4 740,7	4 977,7
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>3 231,8</b>	<b>2 917,2</b>	<b>2 477,1</b>	<b>2 418,1</b>	<b>2 539,0</b>	<b>2 666,0</b>
არაფინანსური აქტივების კლება	233,6	491,9	430,0	451,5	474,1	497,7
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)						
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)						

ათასი ლარი

### გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2024-2027 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ახალციხის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- განათლება;
- ტურიზმი, კულტურა, რელიგია, სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ეფექტური მმართველობა;

**ახალციხის მუნიციპალიტეტის გადასახდელეები პრიორიტეტების მიხედვით  
2022 –2027 წლებში**

*ათასი ლარი*

დასახელება	პრიორიტეტის კოდი	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 პროექტი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი
<b>გადასახდელეები სულ</b>		<b>28 565,4</b>	<b>50 611,1</b>	<b>32 500,0</b>	<b>38 535,0</b>	<b>40 461,8</b>	<b>42 484,8</b>
ინფრასტრუქტურის განვითარება	02 00	11 520,1	24 011,2	9 518,8	13 971,8	14 670,4	15 403,9
დასუფთავება და გარემოს დაცვა	03 00	2 597,8	6 857,0	3 486,6	5 303,6	5 568,8	5 847,3
განათლება	04 00	4 434,8	6 192,0	5 994,3	5 860,8	6 153,8	6 461,5
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	05 00	3 460,2	5 047,8	3 714,4	3 874,8	4 068,5	4 271,9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	06 00	1 773,2	2 072,7	1 876,7	1 910,0	2 005,5	2 105,8
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	01 00	4 779,3	6 430,3	7 909,3	7 613,9	7 994,7	8 394,4

**ბიუჯეტის ბალანსი**

**ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი  
2022 –2027 წლებში**

*ათას ლარში*

დასახელება	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 პროექტი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი
<b>I. შემოსავლები</b>	<b>32 524,8</b>	<b>38 548,3</b>	<b>32 070,0</b>	<b>33 673,5</b>	<b>35 357,2</b>	<b>37 125,0</b>
გადასახადები	23 495,0	27 846,0	29 023,1	30 474,3	31 998,0	33 597,9
გრანტები	5 798,0	7 785,1	569,8	598,3	628,2	659,6
სხვა შემოსავლები	3 231,8	2 917,2	2 477,1	2 600,9	2 731,0	2 867,6
<b>II. ხარჯები</b>	<b>17 639,4</b>	<b>23 067,8</b>	<b>24 830,5</b>	<b>26 072,0</b>	<b>27 375,6</b>	<b>28 744,4</b>
შრომის ანაზღაურება	2 828,3	3 787,1	4 962,1	5 210,2	5 470,7	5 744,3
საქონელი და მომსახურება	2 780,7	3 407,1	3 375,1	3 543,9	3 721,0	3 907,1
პროცენტი	59,4	40,0	40,0	42,0	44,1	46,3
სუბსიდიები	9 188,6	11 190,5	13 164,6	13 822,8	14 514,0	15 239,7
გრანტები	260,0	342,0	260,0	273,0	286,7	301,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 405,4	1 851,2	1 646,4	1 728,7	1 815,2	1 905,9
სხვა ხარჯები	1 117,0	2 449,9	1 382,3	1 451,4	1 524,0	1 600,2
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>14 885,3</b>	<b>15 480,5</b>	<b>7 239,5</b>	<b>7 601,5</b>	<b>7 981,5</b>	<b>8 380,6</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>10 572,6</b>	<b>26 931,4</b>	<b>7 119,6</b>	<b>7 475,6</b>	<b>7 849,4</b>	<b>8 241,8</b>
ზრდა	10 806,2	27 423,3	7 549,6	7 927,1	8 323,4	8 739,6
კლება	233,6	491,9	430,0	451,5	474,1	497,7
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>4 312,8</b>	<b>-11 451,0</b>	<b>119,9</b>	<b>119,9</b>	<b>119,9</b>	<b>119,9</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>4 193,0</b>	<b>-11 570,9</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
ზრდა	5 560,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

ვალუტა და დეპოზიტები	5 560,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	1 367,5	11 570,9	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 367,5	11 570,9	0,0	0,0	0,0	0,0
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-119,8</b>	<b>-119,9</b>	<b>-119,9</b>	<b>-119,9</b>	<b>-119,9</b>	<b>-119,9</b>
კლება	119,8	119,9	119,9	119,9	119,9	119,9
საშინაო	119,8	119,9	119,9	119,9	119,9	119,9
სესხები	-	-	-	-	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

## 2022-2023 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

### 2022 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2022 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობები დაიგეგმა 32 163,2 ათასი ლარით, ხოლო შემოსავლები - 31 879,6 ათასი ლარით, მათ შორის: გადასახადები 23 640,0 ათასი ლარი, გრანტები 5 753,4 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 2 486,2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი განისაზღვრა 283,0 ათასი ლარის ფარგლებში.

2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის გეგმამ შეადგინა 5 753,4 ათასი ლარი. დაფინანსდა გზების მშენებლობა, ნაპირსამაგრების და სანიაღვრე არხების მოწყობა, სპორტული ნაგებობების მშენებლობა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებები. განხორციელდა სარწყავი და სანიაღვრე არხების, შიდა სასოფლო გზების, ხიდების და ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოსახლეობისათვის დაზიანებული სახლის სახურავების შეკეთებისათვის მასალების შეძენა და სხვ.

ახალციხის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:

ქალაქ ახალციხეში თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია (I და II მონაკვეთი), პროექტის ღირებულება 276,983 ათასი ლარი;

ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 293,144 ათასი ლარი;

სოფელ საძელისა და სოფელ ყულალისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 538,303 ათასი ლარი;

სოფელ ანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 132,125 ათასი ლარი;

სოფელ თისელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 53, 230 ათას ლარს.

სოფელ აწყურის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 645,161 ათასი ლარი;

სოფელ ანდრიაწმინდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 436,464 ათასი ლარი, და სხვ.

ასევე განხორციელდა სოფელ აწყურის სასმელი წყლის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სასმელი წყლის სალექარის მოწყობა და არსებული ფილტრის რეაბილიტაცია; სოფელ ურავლის სასმელი წყლის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ წნისის

სასმელი წყლის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქალაქ ახალციხეში ე.წ. „მლაშიხევი“-ს სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვ.

განხორციელდა ქალაქ ახალციხეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სახურავების, ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია: ქალაქ ახალციხეში 9 აპრილის ქუჩის N15-ში და N25-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია; იაძის ქუჩის N17-ში, ივერიელის ქუჩის N64-ში და ქეთევან დედოფლის ქუჩის N3-ში მდებარე სახლების სახურავების რეაბილიტაცია; გვარამაძის ქუჩის N51-ში, ფარნავაზ მეფის ქუჩის N27-ში და რუსთაველის ქუჩის N39-ა და N41-ში მდებარე სახლების სახურავების რეაბილიტაცია; აწყურში და ქალაქ ახალციხეში ბორჯომის ქუჩის N55-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია; თამარაშვილის ქუჩის N6-ის მიმდებარედ ფანჩატურის მოწყობა; და სხვ.

ქალაქ ახალციხეში კოსტავას ქუჩის N18-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქალაქ ახალციხეში თამარ მეფის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია; სოფელ ზიკილიაში სკვერის მოწყობა; ქალაქ ვალეში სტალინის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია; სოფელ ღრელში სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობა; ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის N125-ში სპორტული მოედნის მოწყობა; ტაბიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა; სოფელ ზიკილიაში სპორტული მოედნის მოწყობა; ქალაქ ვალეში მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელს დაიგეგმა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, კონკურსები, ტრენინგები კერძოდ:

14 იანვარს აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე;

მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო დღე;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - ახალციხის ციხეზე გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი ადგილობრივი ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების, ასევე მოწვეული მომღერლების მონაწილეობით;

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე;

პროექტი კონკურსი-ფესტივალი „სხვა საქართველო სად არის“;

ახალციხის სალოტბარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო ანაკლიაში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში „მომავლის ხმები“;

ქალაქ ახალციხის სამუსიკო სკოლაში პედაგოგებისა და მუსიკალურ კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი;

შალვა ახალციხელის ხსენების დღე - ახალციხის ციხის ტერიტორიაზე მოეწყო მხატვართა და რეჟის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, საპატიო ახალციხელების დაჯილდოვება, გალა-კონცერტი დედაქალაქიდან მოწვეული მომღერლებისა და მსახიობების მონაწილეობით და სხვ.

არტ-გენის- ფესტივალზე ქალაქ თბილისში მონაწილეობდა ანსამბლი „მესხეთი“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „ახალციხე“;

ახალციხის ციხის ტერიტორიაზე გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერული ორკესტრის „ოპერის კამერატა“-ს კონცერტი;

8 აგვისტოს აგვისტოს გმირების გახსენება - ცენტრალურ პარკში გამართა მემორიალი გვირგვინებით და ყვავილებით შეიმკო;

აღინიშნა ხანდაზმულთა დღე, ჩატარდა ღვინის ფესტივალი, პურის ფესტივალი, სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღე, საინფორმაციო შეხვედრები გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, საახალწლო ღონისძიებები და სხვ.



ასევე გაიმართა ახალგაზრდული აქტივობების მხარდამჭერი ღონისძიებები, დასუფთავების აქციები, კონკურსი „ახალციხის მოხალისე“ - მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერების, ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და უანგარო შრომის პოპულარიზაციის მიზნით;

დედამიწის საერთაშორისო დღე; ტრენინგი ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში; მათემატიკური ოლიმპიადა „ზარზმა“; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე; მასწავლებლის დღე; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და სხვ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებების მიერ 2022 წელს განხორციელდა შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4,1 ათასი ლარით, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, პროგრამით გათვალისწინებული სტატუსის მქონე პირების სარიტუალო მომსახურება, პროგრამით ისარგებლა 7 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 3,3 ათასი ლარი;

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 211,0 ათასი ლარით, პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების სოციალური დახმარება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის მიზნით. (მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, მხედველობით მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები). წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 410 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 187,1 ათასი ლარი.

3. II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 18,0 ათასი ლარით, პროგრამა მოიცავს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ ვეტერანების ყოველთვიურ დახმარებას, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ერთჯერად დახმარებას და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერად დახმარებას. პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 13,5 ათასი ლარი.

4. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 193,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (მარტოხელა მოხუცები, მრავალშვილიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველები) კვებით უზრუნველყოფა უფასო სასადილოში ერთჯერადად დღეში, პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 179,6 ათასი ლარი.

5. ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 64,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის ხანძრით დაზიანების შემთხვევაში, პროგრამა ითვალისწინებს ოჯახების ერთჯერად დახმარებას. პროგრამით ისარგებლა 7-მა ოჯახმა, პროგრამიდან გახარჯულია 61,5 ათასი ლარი.

6. იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 205,8 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული

პირების და შეჭირვებული მოქალაქეების ფინანსური დახმარება, პროგრამით ისარგებლა 497 ბენეფიციარმა, პროგრამიდან გახარჯულია 200,7 ათასი ლარი.

7. 99 წელს გადაცილებულ უზუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 34,4 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია უზუცესთა და ობოლ ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა, პროგრამით 2022 წელს ისარგებლა 82 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 20,8 ათასი ლარი.

8. ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის შეღავათის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 44,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოქალაქეების და შემოსული სტუმრების საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების 50%-იანი თანადაფინანსება. პროგრამით თვეში სარგებლობს დაახლოებით 2700-2800 ბენეფიციარი, პროგრამიდან გახარჯულია 28,1 ათასი ლარი.

9. ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა ყოველ ახალშობილზე. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 83,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა დემოგრაფიის გაუმჯობესების და შობადობის მატების მიზნით, პროგრამით ისარგებლა 319-ზე მეტმა ახალშობილის ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 78,1 ათასი ლარი.

10. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. პროგრამით ისარგებლა 2 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 3,4 ათასი ლარი.

11. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 991,2 ათასი ლარით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, როგორცაა სამედიცინო კვლევები, ქირურგიული ოპერაციები, სტაციონარული მკურნალობა, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა ფინანსური მხარდაჭერა, ვეტერანთა მედიკამენტოზური პაკეტი, ეპილეფსიისა და ფსიქიატრიულ დაავადებათა მედიკამენტოზური პაკეტი, პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების დაფინანსება. პროგრამიდან გახარჯულია 853,2 ათასი ლარი. ისარგებლა 2018-მა ბენეფიციარმა.

12. სახელოვნებო სკოლებში სოციალური შეღავათების მქონე პირთა შვილებისათვის სოციალური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 17,3 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ბენეფიციარებს სხვადასხვა სახელოვნებო სკოლებში მიიღონ მათთვის სასურველი სახელოვნებო განათლება. პროგრამით ისარგებლა 237 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 17,3 ათასი ლარი.

## 2023 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2023 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობები დაგეგმილია 36 362,6 ათასი ლარით, ხოლო შემოსავლები - 36 061,0 ათასი ლარით, მათ შორის: გადასახადები 27 346,9 ათასი ლარი, გრანტები 6 727,6,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 1 986,5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი განსაზღვრულია 301,6 ათასი ლარის ფარგლებში.

2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის გეგმა შეადგენს 6 727,6 ათას ლარს. ფინანსდება გზების მშენებლობა, ნაპირსამაგრების და სანიაღვრე არხების მოწყობა, სპორტული ნაგებობების მშენებლობა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, წყალმომარაგების

სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ღონისძიებები. ხორციელდება სარწყავი და სანიაღვრე არხების, შიდა სასოფლო გზების, ხიდების და ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოსახლეობისათვის დაზიანებული სახლის სახურავების შეკეთებისათვის მასალების შექმნა.

ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:

სოფელ წნისში სატუმბი სადგურის და სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 153,359 ლარი;

ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩის №124-ში არსებული ორსართულიანი შენობის (ახალგაზრდული ცენტრი) რეაბილიტაციისათვის 342,319 ლარი;

ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩის №124-ში შენობის (სპორტული კომპლექსი) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის 1 385 540 ლარი;

ქალაქ ახალციხეში ხელოვნური ტბის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის, მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობისათვის 1 385 540 ლარი;

სოფელ სხვილისის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის 219 295 ლარი;

სოფელ მუგარეთის სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოწყობისათვის 613 238 ლარი;

ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩა №124-ში არსებული სამსართულიანი შენობის რეაბილიტაციისათვის 576,471 ლარი;

სოფელ ურაველის სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაციისათვის 355,600 ლარი;

ქალაქ ახალციხეში ხელოვნურ ტბაზე საფეხმავლო ბილიკის და ველო ბილიკის მოწყობისათვის 394,593 ლარი;

ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩის N124-ში არსებული ყოფილი კლუბის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 394,593 ლარი;

მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან სოფელ სხვილისის სარწყავი წყლის სისტემის და სატუმბი სადგურის (ე.წ ფარეხას) რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 628,800 ლარი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, კონკურსები, ტრენინგები, კერძოდ:

4 და 7 იანვარს ახალციხის ცენტრალურ პარკში, ქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან გაიმართა გასართობი კონცერტები მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით და სხვა ღონისძიებები;

ქალთა ეკონომიური გაძლიერების მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან სახელმწიფო პროგრამის - „დეგეგმე მომავალი“-ს ფარგლებში.

ჩატარდა ესე-ების კონკურსი „არა ძალადობას“, მონაწილეობა მიიღო 22-მა ახალგაზრდამ;

ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან დედეებს დედის დღე მიულოცეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა;

ქალთა საერთაშორისო დღე - 8 მარტი მიულოცეს ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფში დასაქმებულ ქალბატონებს;

აღინიშნა ჯანმრთელობის მსოფლიო დღე; 9 აპრილს დაღუპულთა ხსენების დღე; ქართული ენის დაცვის დღე; მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო დღე; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; შალვა ახალციხელის ხსენების დღე; და სხვა კულტურული ღონისძიებები.

გაიმართა სპორტული აქტივობები, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში, და არა მარტო ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;

გაიმართა ტურნირები რაიონის პირველობაზე ფრენბურთში, ნარდში და „მაგიდის ჩოგბურთში:“ ფეხბურთის ჩემპიონატი მოყვარულთა შორის; ქალაქ თბილისში მძლეოსნობაში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში ახალციხის მძლეოსნების გუნდმა წარმატებული ასპარეზობის შედეგად მოიპოვა 9 ოქროს, 2 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი; ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, და სხვა სპორტულ სახეობებში;

ახალციხის მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკსა და შაშში; მათში გაიმართა „მოყვარულთა ლიგა 2023“-ის მუნიციპალური თამაშები და სხვა სპორტული ღონისძიებები.

ტურიზმის მიმართულებით, დამატებითი ტურისტული პროდუქტების შექმნის მიზნით, ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან ერთად, მიმდინარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული პოტენციალის მქონე ადგილების ინვენტარიზაცია და ტურისტული მასალების განახლება; შეიქმნა შესაბამისი სტანდარტების მქონე საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი „აწყური-წრიოხის ციხე-წინუბანი“;

განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკის ტირაჟირება, ტურისტული რუკის და ბროშურების გავრცელება ტურისტული ინტერესების მქონე ლოკაციებზე და სხვა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებების მიერ განხორციელდა შემდეგი სოციალური პროგრამები 2023 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით:

1. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4,0 ათასი ლარით, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, პროგრამით გათვალისწინებული სტატუსის მქონე პირების სარიტუალო მომსახურება, პროგრამით ისარგებლა 2 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 0,8 ათასი ლარი;

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 222,6 ათასი ლარით, პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების სოციალური დახმარება მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის მიზნით. (მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, მხედველობით მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, რეაბილიტაციის საჭიროების მქონე შშმ ბავშვები/შშმ სტატუსის არმქონე ბავშვები (აუტისტური სპექტრის და სხვა დარღვევების მქონე ბავშვები)). პროგრამით ისარგებლა 425-მა ბენეფიციარმა, გახარჯულია 125,1 ათასი ლარი

3. II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე შშმ პირების და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 19,0 ათასი ლარით, პროგრამა მოიცავს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ ვეტერანების ყოველთვიურ დახმარებას, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ერთჯერად დახმარებას და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერად დახმარებას. პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლა 24-მა ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 9,0 ათასი ლარი.

4. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 220,6 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (მარტოხელა მოხუცები, მრავალშვილიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველები) კვებით უზრუნველყოფა უფასო სასადილოში

ერთჯერადად დღეში, პროგრამით სარგებლობს 188 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 144,4 ათასი ლარი.

5. ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 18,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის ხანძრით დაზიანების შემთხვევაში, პროგრამა ითვალისწინებს ოჯახების ერთჯერად დახმარებას. პროგრამით ისარგებლა 3-მა ოჯახმა, პროგრამიდან გახარჯულია 6,6 ათასი ლარი.

6. იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 329,3 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების და შეჭირვებული მოქალაქეების ფინანსური დახმარება, პროგრამით ისარგებლა 500-მა ბენეფიციარმა, პროგრამიდან გახარჯულია 160,8 ათასი ლარი.

7. 99 წელს გადაცილებულ უხუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 42,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია უხუცესთა და ობოლ ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა, პროგრამით 2023 წელს სარგებლობს 34 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 19,3 ათასი ლარი.

8. ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის შეღავათის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 44,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოქალაქეების და შემოსული სტუმრების საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების 50%-იანი თანადაფინანსება. პროგრამით თვეში სარგებლობს დაახლოებით 2700-2800 ბენეფიციარი, პროგრამიდან გახარჯულია 33,3 ათასი ლარი.

9. ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა ყოველ ახალშობილზე. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 97,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა დემოგრაფიის გაუმჯობესების და შობადობის მატების მიზნით, პროგრამით ისარგებლა 231-ზე მეტმა ახალშობილის ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 71,1 ათასი ლარი.

10. აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. პროგრამით ისარგებლა 2-მა ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 0,9 ათასი ლარი.

11. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 066,2 ათასი ლარით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, როგორცაა სამედიცინო კვლევები, ქირურგიული ოპერაციები, სტაციონარული მკურნალობა, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა ფინანსური მხარდაჭერა, ვეტერანთა მედიკამენტოზური პაკეტი, ეპილეფსიისა და ფსიქიატრიულ დაავადებათა მედიკამენტოზური პაკეტი, პროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების დაფინანსება. პროგრამიდან გახარჯულია 651,5 ათასი ლარი. ისარგებლა 1699-მა ბენეფიციარმა.

### თავი III. ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების შესაბამისად 2024-2027 წლებში ბიუჯეტის განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის დასახელება	2024 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა	2025 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა	2026 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა	2027 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>7 909,3</b>	<b>7 614,0</b>	<b>7 994,7</b>	<b>8 394,4</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	7 524,4	7 209,8	7 570,3	7 948,8
01 01 01	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 907,1	1 908,9	2 004,3	2 104,5
01 01 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	5 617,3	5 118,2	5 374,1	5 642,8
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	0,0	182,7	191,8	201,4
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	359,9	377,9	396,8	416,6
01 02 01	სარეზერვო ფონდი	200,0	210,0	220,5	231,5
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	159,9	167,9	176,3	185,1
01 03	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ხარჯი	25,0	26,3	27,6	28,9
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>9 518,8</b>	<b>13 971,8</b>	<b>14 670,4</b>	<b>15 403,9</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2 347,7	6 549,9	6 877,4	7 221,3
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	170,0	178,5	187,2	196,8
02 01 02	ახალი გზების მშენებლობა	2 127,7	6 266,4	6 579,7	6 908,7
02 01 03	ნაპირსამაგრი სამუშაოები	50,0	105,0	110,3	115,8
02 02	<b>წყლის სისტემების განვითარება</b>	<b>1 226,5</b>	<b>2 501,6</b>	<b>2 626,7</b>	<b>2 758,0</b>
02 02 03	წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	400,0	1 785,0	1 874,3	1 967,9
02 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება	826,5	716,6	752,5	790,1
02 03	<b>გარე განათება</b>	<b>700,0</b>	<b>661,5</b>	<b>694,6</b>	<b>729,3</b>
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	600,0	556,5	584,3	615,5
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	100,0	105,0	110,3	115,8
02 04	<b>მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება</b>	<b>2 650,2</b>	<b>2 782,7</b>	<b>2 921,8</b>	<b>3 067,9</b>
02 04 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი	604,0	634,2	665,9	699,2
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	2 046,2	2 148,5	2 255,9	2 368,7
02 07	<b>კეთილმოწყობა</b>	<b>2 431,9</b>	<b>4 132,0</b>	<b>4 338,6</b>	<b>4 555,5</b>
02 07 01	საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	510,0	535,5	526,3	590,4
02 07 02	შენობების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია	1 000,0	1 575,0	1 653,7	1 736,4
02 07 03	პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია	340,0	525,0	551,3	578,8
02 07 04	სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამა	581,9	1 496,5	1 571,3	1 649,8
02 08	<b>სარიტუალო ღონისძიებები</b>	<b>162,4</b>	<b>126,8</b>	<b>133,2</b>	<b>139,8</b>
02 08 02	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“	162,4	126,8	133,2	139,8

<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>3 486,6</b>	<b>5 303,6</b>	<b>5 568,8</b>	<b>5 847,3</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	275,6	2 149,4	2 256,8	2 369,6
03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	3 211,0	3 154,3	3 312,0	3 477,6
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>5 994,3</b>	<b>5 860,8</b>	<b>6 153,8</b>	<b>6 461,5</b>
<b>04 01</b>	<b>სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება</b>	<b>5 689,0</b>	<b>5 499,3</b>	<b>5 774,2</b>	<b>6 062,9</b>
04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	5 689,0	5 499,3	5 774,2	6 062,9
<b>04 02</b>	<b>განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა</b>	<b>261,0</b>	<b>315,0</b>	<b>330,7</b>	<b>347,9</b>
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	261,0	315,0	330,7	347,9
04 02 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0
<b>04 03</b>	<b>ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს</b>	<b>44,3</b>	<b>46,5</b>	<b>48,8</b>	<b>51,3</b>
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>3 714,4</b>	<b>3 874,8</b>	<b>4 068,5</b>	<b>4 271,9</b>
<b>05 01</b>	<b>სპორტის სფეროს განვითარება</b>	<b>1 537,8</b>	<b>1 454,0</b>	<b>1 526,7</b>	<b>1 603,1</b>
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	214,0	235,2	246,9	259,3
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	100,0	210,0	220,5	231,5
05 01 05	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	1 223,8	1 008,8	1 059,3	1 112,2
<b>05 02</b>	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	<b>1 908,2</b>	<b>2 086,5</b>	<b>2 190,8</b>	<b>2 300,3</b>
05 02 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	664,5	626,8	658,2	691,1
05 02 02	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	522,8	496,1	520,9	546,9
05 02 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	190,8	186,4	195,7	205,4
05 02 04	ა(ა)იპ ახალციხის ციხე	0,0	220,5	231,5	243,1
05 02 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	230,1	241,6	253,7	266,4
05 02 08	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	100,0	105,0	110,3	115,7
05 02 09	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0	210,0	220,5	231,5
<b>05 03</b>	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>	<b>113,4</b>	<b>119,1</b>	<b>125,0</b>	<b>131,3</b>
05 03 01	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	113,4	119,1	125,0	131,3
<b>05 04</b>	<b>თეატრები</b>	<b>125,0</b>	<b>183,7</b>	<b>192,9</b>	<b>202,3</b>
<b>05 05</b>	<b>ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია</b>	<b>30,0</b>	<b>31,5</b>	<b>33,1</b>	<b>34,7</b>
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1 876,6</b>	<b>1 910,0</b>	<b>2 005,5</b>	<b>2 105,8</b>
<b>06 01</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>0,0</b>	<b>209,2</b>	<b>219,8</b>	<b>231,0</b>
06 01 02	ამბულატორიების ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა, რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0
<b>06 02</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>1 876,6</b>	<b>1 910,0</b>	<b>2 005,5</b>	<b>2 105,8</b>
06 02 01	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	4,2	4,5	4,7	4,9

06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	270,0	252,0	264,6	277,8
06 02 03	II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	16,0	20,0	20,9	22,0
06 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	238,2	243,2	255,3	268,1
06 02 05	ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება	18,0	18,9	19,8	20,8
06 02 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	311,2	326,6	343,1	360,2
06 02 07	99 წელს გადაცილებულ უხუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება	42,0	44,1	46,3	48,6
06 02 08	ქალაქ ახალციხეში მგზავრთა დაგაყვანის შეღავათის პროგრამა	44,0	46,2	48,8	50,9
06 02 09	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	99,0	103,9	109,1	114,6
06 02 10	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება	24,0	0,5	0,0	0,0
06 02 11	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	810,0	850,5	893,0	937,7

## ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“-ის შემდეგ მიზნებთან:

- მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
- მიზანი 5. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- მიზანი 6. წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;
- მიზანი 9. მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
- მიზანი 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.



პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>9 518,8</b>	<b>9 994,7</b>	<b>10 494,5</b>	<b>11 019,2</b>
<b>02 01</b>	<b>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>2 347,7</b>	<b>2 465,1</b>	<b>2 588,3</b>	<b>2 717,8</b>
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	170,0	178,5	187,4	196,8
02 01 02	ახალი გზების მშენებლობა	2 127,7	2 234,1	2 345,8	2 463,1
02 01 03	ნაპირსამაგრი სამუშაოები	50,0	52,5	55,1	57,9
<b>02 02</b>	<b>წყლის სისტემების განვითარება</b>	<b>1 226,5</b>	<b>1 287,8</b>	<b>1 352,2</b>	<b>1 419,8</b>
02 02 03	წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	400,0	420,0	441,0	463,1
02 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყლანირება	826,5	867,8	911,2	956,8
<b>02 03</b>	<b>გარე განათება</b>	<b>700,0</b>	<b>735,0</b>	<b>771,7</b>	<b>810,3</b>
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	600,0	630,0	661,5	694,6
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	100,0	105,0	110,3	115,8
<b>02 04</b>	<b>მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება</b>	<b>2 650,2</b>	<b>2 782,7</b>	<b>2 921,8</b>	<b>3 067,9</b>
02 04 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი	604,0	634,2	665,9	699,2
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	2 046,2	2 148,5	2 255,9	2 368,7
<b>02 07</b>	<b>კეთილმოწყობა</b>	<b>2 431,9</b>	<b>2 553,5</b>	<b>2 681,2</b>	<b>2 815,2</b>
02 07 01	საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	510,0	535,5	562,3	590,4
02 07 02	შენობების, ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია	1 000,0	1 050,0	1 102,5	1 157,6
02 07 03	პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია	340,0	357,0	374,9	393,6
02 07 04	სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამა	581,9	611,0	641,5	673,6
<b>02 08</b>	<b>სარიტუალო ღონისძიებები</b>	<b>162,4</b>	<b>170,5</b>	<b>179,0</b>	<b>188,0</b>
02 08 02	ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი	162,4	170,5	179,0	188,0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01		2 347,7	7 771,2
პროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 20% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 ქვეპროგრამა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გზების მიმდინარე შეკეთება;</li> <li>- ახალი გზების მშენებლობა;</li> <li>- ნაპირსამაგრი სამუშაოები;</li> </ul> <p>გზების მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 8000 გრძ/მ გზას (მათ შორის ახალი გზებია 3500გრძ/მ, ან ბეტონის გზაა 1500 გრძ/მ) ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალი გზების მოწყობა. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 300000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ზამთრის პერიოდში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა. ნაპირსამაგრი სამუშაოების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირების გამაგრებითი სამუშაოები.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ფორს-მაჟორული პირობების არსებობისას მოსახლეობის სწრაფი უზრუნველყოფა სატრანსპორტო მომსახურებით; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება არის უსაფრთხო და კომფორტული;</p> <p>გაზრდილია გზების ექსპლუატაციის პერიოდი;</p> <p>ადგილობრივ გზებზე მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა;</p> <p>შემცირებულია მგზავრობის დრო;</p> <p>გზებზე პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად და სხვ.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	2025-2027 წლების დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 01		170,0	562,7

<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b>
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	<p>გზების მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება-რეაბილიტაცია. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, რეაბილიტაცია უტარდება 80 000 გრძ/მ გზას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია. გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2024 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ფორს-მაჟორული პირობების არსებობისას მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებით სწრაფი უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება და სხვ.</p>
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;</p> <p>მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება;</p> <p>ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება;</p> <p>ტურიზმის ხელშეწყობა;</p> <p>მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალი გზების მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		2 127,7	7 043,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b>			
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალციხის მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობა. კერძოდ: ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წელს დაგეგმილია შემდეგი 3 პროექტის განხორციელება, როგორც ადგილობრივი ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქალაქ ახალციხეში ხანძთელის, მთაწმინდელის და თამარაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია - 587,0 ათასი ლარი;</li> <li>-სოფელ აწყურისა და სოფელ თისელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 806,3 ათასი ლარი;</li> <li>-სოფელ აწყურის მე-6, მე-7 და მე-12-ე უბნების გზის რეაბილიტაცია - 434,3 ათასი ლარი.</li> <li>-სოფელ კლდეში არსებული მონოლითური რკინაბეტონის ხიდის რეაბილიტაცია - 184,4 ათასი ლარი</li> </ul> <p>გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2024 წელს არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება და ახალი გზების მშენებლობის კუთხით მეტი პროექტის განხორციელება და სხვ.</p>			
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენარჩუნებულია გზების მაღალი ხარისხი; მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება არის უსაფრთხო და კომფორტული;</p> <p>გაზრდილი გზების ექსპლოატაციის პერიოდი, შემცირებულია მგზავრთა გადაადგილების დრო;</p> <p>შემცირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის;</p> <p>ტურიზმის ხელშეწყობა;</p> <p>გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ნაპირსამაგრი სამუშაოები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		50,0	165,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების ნაპირსამაგრი სამუშაოები. ქვეპროგრამის მიზანია დაზიანებული მონაკვეთების დროული აღდგენა და სხვ.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების ლიკვიდირებულია დროულად და სხვ.			

პროგრამის დასახელება	კოდი	წელის სისტემების განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02		1 226,5	4 059,8
პროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:</p> <p>-წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია;</p> <p>-ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანიერება;</p> <p>წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p> <p>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანიერება ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტში 14 თემის ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯები. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდებოდეს შეუფერხებლად, წყლის სისტემები ფუნქციონირებდეს გამართულად და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას მიეწოდება სასმელი წყალი; მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს გააჩნით შეუფერხებელი წვდომა სარწყავ წყალზე;			

წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს სისტემატური სახით და წარმოქმნილ გაუმართაობებზე ხდება მყისიერი რეაგირება და სხვ.
--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		400,0	1 324,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვ.) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის ასევე გამოყოფილია თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. 2024 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და თანადაფინანსებით დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოფელ ღრელის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია - 220,0 ათასი ლარი;</li> <li>- სოფელ სხვილის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა - 180,0 ათასი ლარი</li> </ul> <p>გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდებოდეს შეუფერხებლად, წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების და ხელოვნური ტბის მოვლა-შენახვა-რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02 04		826,5	2 735,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი მომარაგება სასმელი წყლით წლის ნებისმიერ პერიოდში. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას, ქალაქ ახალციხეში ხელოვნური ტბის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოვლა-პატრონობას,</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში და 14 თემში 11 სატუმბი სადგურის და 50 კმ-იანი სარწყავი არხის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია, ბუნებრივი სარწყავი არხებითა და მექანიკური სატუმბი სადგურების მეშვეობით სარწყავი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარების მოწყობა და შიდა ქსელური არხების რეაბილიტაცია და სხვ.</p>			

	<p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <p>ქვეპროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ახალციხეში, ასევე მუნიციპალიტეტში შემაჯავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;</li> <li>- წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოიფხვრას დროულად,</li> </ul> <p>ახალციხის ტბაზე ინფრასტრუქტურა და გარემო იყოს მოწესრიგებული, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული გარემოს შექმნას და სხვ.</p>
<p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;</p> <p>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე;</p> <p>წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოიფხვრილია დროულად, სატუმბო სადგურები მუშაობს გამართულად;</p> <p>ახალციხის ტბის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული და გაუმჯობესებულია, მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის შექმნილია დასვენების და ფიზიკური გაჯანსაღების პირობები და სხვ.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 03		700,0	2 317,0
<p><b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>	<p><b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b></p>			
<p><b>პროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 6500-ზე მეტ სანათ წერტილს, 20000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;</li> <li>- გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა.</li> </ul> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. 2024 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია როგორც გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე, ასევე ახალი წერტილების</p>			

	<p>მოწყობისათვის, ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით, ასევე საკუთარი სახსრების თანადაფინანსებით. პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მოქალაქეებისთვის ღამის პერიოდში უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და სხვ.</p>
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%; და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		600,0	1 986,1
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b>			
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქვეპროგრამის ფარგლებში და ფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.</li> </ul> <p>ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (600,0 ათასი ლარი). ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მოქალაქეებისთვის ღამის პერიოდში უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და სხვ.</p>			
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად და სხვ.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		100,0	331,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b>			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარე განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა, არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტირებულ გზებზე ახალი სანათი წერტილების მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია უფრო მეტ ქუჩაზე და დასახლებულ ადგილებზე განთავსდეს გარე განათების ახალი წერტილები, რათა ხელი შეეწყოს მოქალაქეების (მოზარდების, შშმ პირების, ეტლით მოსარგებლე ადამიანების, ბავშვიანი დედების და სხვ.) უსაფრთხო გადაადგილებას დღე-ღამის ნებისმიერ პერიოდში და სხვ.
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		604,0	1 999,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შიდა საქალაქო და ადმინისტრაციულ ერთეულებში ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია			
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული მუნიციპალური ტრანსპორტი.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		2 046,2	6 773,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ახალი ტრანსპორტის შეძენა, ავტოპარკის განახლება.			
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული მუნიციპალური ტრანსპორტი.			



პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07		2 431,9	8 049,9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებას; დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას, კეთილმოწყობას და მოვლა-პატრონობას; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობას; მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოების შესრულებას, რათა გაუმჯობესდეს არსებული ინფრასტრუქტურა, მოსახლეობისათვის შეიქმნას სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით სკვერების და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; შენობების, ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის შექმნილია რეკრეაციული ზონები;</p> <p>გაზრდილია რეაბილიტირებული და ახლად მოწყობილი პარკების და სკვერების რაოდენობა, სადაც შექმნილია ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი სპორტულ-გამაჯანსაღებელი გარემო და დასვენების კომფორტული პირობები ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის ბავშვებიანი დედებისთვის, შშმ პირებისთვის და ა.შ.;</p> <p>გაუმჯობესებული და გალამაზებულია კორპუსებისა და შენობების იერსახე და სხვ.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		510,0	1 688,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება 50,0 ათას ლარს, პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50,0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით და სხვ.</p>			

<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურადაა მომზადებული; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები გამოირჩევა მაღალი ხარისხით და აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს) და სხვ.
---------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შენიშვნის, ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 07 02</b>		<b>1 000,0</b>	<b>3 310,1</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b>			
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ახალციხეში და ქალაქ ვალეში, ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში ადმინისტრაციული შენობების, სოფლის სახლების, ამბულატორიების, რიტუალების სახლების და სხვათა მოწყობა-რეაბილიტაცია. ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (კორპუსების) გადახურვა, ფასადების და სადარბაზოების რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია, მოწესრიგება და იერსახის გაუმჯობესება და სხვ.			
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული შენობები, სუფთა და მოწესრიგებული სადარბაზოები და სხვ.			
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 07 03</b>		<b>340,0</b>	<b>1 125,5</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b>			
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი პარკებისა და სკვერების მოწყობა, არსებული პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია, ქვეპროგრამის მიზანია სათანადო კომფორტული და ადაპტირებული დასასვენებელი გარემოს შექმნა ახალგაზდრებისთვის, ბავშვანი დედებისთვის, გოგონებისთვის და ბიჭებისთვის, შშმ პირებისთვის, ასაკოვანი მოქალაქეებისთვის ტურისტებისთვის და სხვ. 2024 წელს იგეგმება: - ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის N111-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 50,0 ათასი ლარი; - ტბის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი; - სოფელ მინაძის სკვერის რეაბილიტაცია - 150,0 ათასი ლარი.			
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის და ჩამოსული ტურისტებისთვის შექმნილია ნორმალური სპორტულ-გამაჯანსაღებელი გარემო და რეკრეაციული ზონები და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 07 04</b>		<b>581,9</b>	<b>1 926,1</b>

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400-მდე მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000-მდე მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია გამოიკვეთოს, დადგინდეს და განხორციელდეს ის პროიროტეტული ღონისძიებები, რომელთა მოგვარება და გადაჭრაც მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობისთვის, გაიზარდოს მოსახლეობის აქტიურობა და სხვ.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>გაზრდილია მოსახლეობის აქტიურობა;</p> <p>მოსახლეობის აზრი გათვალისწინებულია საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>დაფინანსებული და განხორციელებულია პროექტები, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა, და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	02 08 02	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“	162,4	537,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ახალციხის სასაფლაოების მოწყობა, გამწვანება, შემოღობვა, გასასვლელებისა და სავალი გზების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა, ასევე, საფლავის საფასურისა და სარიტუალო საქმიანობასთან (სასაფლაოების დახურვა, ახალი სასაფლაოს გახსნა) დაკავშირებული შემოსავლების ადმინისტრირება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე არსებულ 6 სასაფლაოზე, რომლის ფართობია 283 366 კვ.მ, გასასვლელები, სავალი გზები იყოს მოწესრიგებული, მიმდინარეობდეს ინფრასტრუქტურის განახლება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	არსებული სასაფლაოები შემოღობილი, გამწვანებული და მოწესრიგებულია, გასასვლელები და გზები კეთილმოწყობილია და სხვ.			

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“-ის შემდეგ მიზნებთან:

- მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
- მიზანი 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3 486,6	3 660,9	3 843,9	4 036,2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	275,6	289,4	303,8	319,0
03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	3 211,0	3 371,6	3 540,1	3 717,1

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 01		275,6	912,2
პროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			

<b>პროგრამის აღწერა და მიზანი</b>	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის სანაგვე ურნების და სპეცტექნიკის შექმნა. ქვეპროგრამის მიზანია დასუფთავების ღონისძიების განხორციელებისთვის ხელშეწყობა და სხვა.
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	შექმნილია ეკოლოგიურად ჯანსაღი და სუფთა გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ფუნქციონირებს ხარისხიანად და სხვა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 02		3 211,0	10 628,8
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b>			
<b>პროგრამის აღწერა და მიზანი</b>	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს მუნიციპალიტეტის ქალაქების, სოფლების, ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე უპატრონო ცხოველების იმუნიზაცია, კასტრაცია და სტერილიზაცია.</p> <p>ისეთი ხარჯები, როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 10 ნაგავმზიდი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური სერვისების ხარისხიანი ფუნქციონირება, ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი და მოწესრიგებული გარემოს შექმნა და სხვა.</p>			
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	შექმნილია ეკოლოგიურად ჯანსაღი და სუფთა გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ფუნქციონირებს ხარისხიანად და სხვა.			

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

განათლების მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტების წახალისებას და მოტივირებას. როგორც წინა წლებში, ახლაც გათვალისწინებულია წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიების გაცემა.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი გავითარებისათვის“-ის შემდეგ მიზნებთან:

- მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
- მიზანი 4. ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	5 994,3	6 294,0	6 608,7	6 939,2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5 689,0	5 973,5	6 272,1	6 585,7
04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	5 689,0	5 973,5	6 272,1	6 585,7
04 02	განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	261,0	274,1	287,7	302,1
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	261,0	274,1	287,7	302,1
04 02 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0
04 03	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	44,3	46,5	48,8	51,3

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5 689,0	18 831,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის			

	<p>ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს დღეის მდგომარეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1830 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 474 თანამშრომელი - აღმზრდელი (მათ შორის კაცი 0%), სხვა პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი (მათ შორის კაცი 5%).</p> <p>"სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების" პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.</p>
<p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცულია საქართველოს მოქმედი კანმდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1870-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 95%-ს შეადგენს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი თანაბარხელმისაწვდომი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა და სხვ.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა</p>	<p>2024 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>	<p>2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>04 02 01</p>		<p>261,0</p>	<p>863,9</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p><b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</b></p>			
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>აღნიშნული ქვეპროგრამიდან ფინანსდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხარჯები, ასევე მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობა და აღსაზრდელთათვის და პერსონალისთვის საუკეთესო პირობების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ინვენტარის განახლება და სხვა.</p>			
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების განათლების დონის ამაღლება და სხვა.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 02 02		0,0	0,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების შენობების რეაბილიტაცია და აღდგენა, ასევე მოსწავლეთა უზრუნველყოფა სასკოლო ტრანსპორტით. ქვეპროგრამის მიზანია საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პედაგოგებისთვის ეფექტური მუშაობისთვის ხელშეწყობა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სკოლებში სასკოლო ასაკის მოზარდები განათლებას იღებენ კომფორტულ გარემოში, სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის და ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით პედაგოგებისთვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 03		44,3	146,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წარმატებული სტუდენტების დაფინანსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიით. ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტების ხელშეწყობა, წახალისება, მოტივაციის ამაღლება და სხვა.			
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული და მოტივირებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა და სხვ.			

## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც



სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის მიერ, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“-ის შემდეგ მიზნებთან:

- მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
- მიზანი 4. ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის;
- მიზანი 5. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>3 714,4</b>	<b>3 900,1</b>	<b>4 095,1</b>	<b>4 299,9</b>
<b>05 01</b>	<b>სპორტის სფეროს განვითარება</b>	<b>1 537,8</b>	<b>1 614,7</b>	<b>1 695,4</b>	<b>1 780,2</b>
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	214,0	224,7	235,9	247,7
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	100,0	105,0	110,3	115,8
05 01 05	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	1 223,8	1 285,0	1 349,2	1 416,7
<b>05 02</b>	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	<b>1 908,2</b>	<b>2 003,6</b>	<b>2 103,8</b>	<b>2 209,0</b>
05 02 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	664,5	697,7	732,6	769,2
05 02 02	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	522,8	548,9	576,4	605,2
05 02 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	190,8	200,3	210,4	220,8
05 02 04	ა(ა)იპ ახალციხის ციხე	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	230,1	241,6	253,7	266,4
05 02 08	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	100,0	105,0	110,3	115,7

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
05 02 09	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0	210,0	220,5	231,5
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	113,4	119,1	125,0	131,3
05 03 01	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	113,4	119,1	125,0	131,3
05 04	თეატრები	125,0	131,3	137,8	144,7
05 05	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	30,0	31,5	33,1	34,7

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1 537,8	5 090,3
პროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის, სპორტული პროგრამების განყოფილება			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზებას (შესაბამისი სამსახურების მიერ), სპორტული ოლიმპიადების, სპორტის კვირეულების და სხვა სპორტული ღონისძიებების განხორციელებას, სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, დაინტერესებას და სხვ.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრების მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, მოზარდების ჩართვა სპორტის სახეობებში, პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დაიცვას გენდერული თანასწორობა და თანაბრად შეუწყოს ხელი როგორც ვაჟების, ასევე გოგონების დაინტერესებას და მოზიდვას სპორტის სხვადასხვა სახეობებში, განავითაროს სპორტული ინფრასტრუქტურა, რათა გაიზარდოს როგორც ახალგაზრდების, ასევე ნებისმიერი ასაკის მოსახლეობის დაინტერესება სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესით, და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაზრდილია რეაბილიტირებული და ახლად მოწყობილი სპორტული მოედნების რაოდენობა; სპორტული ინფრასტრუქტურა განახლებული, მოწესრიგებული და გაუმჯობესებულია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ასაკის, შესაძლებლობის და დაინტერესების მქონე მოქალაქისთვის, გაზრდილია ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი სპორტული შეჯიბრებების და წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა, გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონე, გაზრდილია ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესება, და სხვ.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		214,0	708,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის, სპორტული პროგრამების განყოფილება			

<p><b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების ორგანიზება;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობენ ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები და სხვა ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში.</p>
<p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა და მასში ახალგაზრდების მასიური ჩართულობა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. მეტი ახალგაზრდა და წარმატებული სპორტსმენი და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		100,0	331,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კომპლექსური სასპორტო ღონისძიებების განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		1 223,8	4 050,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება			

<p><b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>	<p>სპორტული გაერთიანება მოიცავს 8 სპორტულ მიმართულებას (კლუბს), ესენია: ფეხბურთი, სპორტული გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი „სამცხე“, ჭიდაობისა და ძიუდოს კლუბი, მძლეოსნობის კლუბი, რაგბის კლუბი, ჭადრაკის კლუბი, კალათბურთის კლუბი, კრივის კლუბი, ორთაბრძოლის კლუბი, სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 470 მოზარდი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ, სპორტულ გაერთიანებაში დასაქმებულია 85 თანამშრომელი, მათ შორის მწვრთნელი - 38, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი - 34, არასამტატო თანამშრომელი - 17.</p> <p>სპორტული გაერთიანების სპორტსმენები პერიოდულად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური და რესპუბლიკური მასშტაბით, მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. 2023 წელს გაერთიანების სპორტსმენებმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოიპოვეს ოქროს 47, ვერცხლის 34 და ბრინჯაოს 54 მედალი.</p> <p>სპორტული გაერთიანება მიზნად ისახავს სისტემატურად იზრუნოს სპორტული მოედნის, ბილიკებისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე, ქვეპროგრამის მიზანია დაიცვას გენდერული თანასწორობა და თანაბრად შეუწყოს ხელი როგორც ვაჟების, ასევე გოგონების დაინტერესებას, ხელშეწყობას და მოზიდვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში, ქვეპროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია, სპორტსმენების აღზრდა, განვითარება, ოლიმპიურ, მსოფლიო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ლიცენზიების მოპოვება და სხვ.</p>
<p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>წარმატებით ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი სპორტული შეჯიბრებების გაზრდილი რაოდენობა. მეტი წარმატებული სპორტსმენი, გაუმჯობესებული და განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული ინვენტარითა და ფორმებით აღჭურვილი სპორტსმენების გაზრდილი რაოდენობა და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		664,5	2 199,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება</b>			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა- მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი და ფოლკლორული ანსამბლი - „მესხეთი“.</p> <p>კულტურის სახლებში გაერთიანებულია ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ბავშვთა მუსიკალური წრეები. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 800 აღსაზრდელი, ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“ შედგება 11 წევრისაგან. ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს როგორც მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ფესტივალებში.</p> <p>გაერთიანებაში შემავალ სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმში ახალგაზრდები ეუფლებიან ტრადიციული, მესხური ფარდაგ-ხალიჩების ქსოვის, მატყლის დამუშავების ხელოვნებას. დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 3 000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 800-ს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 139 150 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 18 000 მოსახლე</p>			

	<p>(გაცემული წიგნების რაოდენობის მიხედვით) 2024 წლისათვის 12 000 ლარია გათვალისწინებული ახალი წიგნების შესაძენად (მკითხველთა მოთხოვნის შესაბამისად).</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დაქვემდებარებაში შემავალი 13 ახალგაზრდული ცენტრის მიზანია ქვეპროგრამის ფარგლებში ახალგაზრდების დაინტერესება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებით, რათა არ მოხდეს ახალგაზრდობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად და მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს კულტურულ ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და შექმნილი უნარ-ჩვევების გამოყენებას სოფლის სასარგებლოდ. ახალგაზრდულ ცენტრებში აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდა მუშაკები, რომლებიც ჩართულები არიან სოფლის განვითარებაში. ეხმარებიან მოსახლეობას სხვადასხვა აქტივობების შესრულებაში.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ახალგაზრდულ ცენტრებში. ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და სხვ.</p>
<p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში მოქმედებს სხვადასხვა წრეები. კულტურის სახლები, ახალგაზრდული ცენტრები, ბიბლიოთეკები და მუზეუმი საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს, კულტურის გაერთიანება უზრუნველყოფს მასში შემავალი ობიექტების სამუშაო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას, ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებას და ახალგაზრდების წახალისებას (განსაკუთრებით სოფლად), გაზრდილია ინფორმაციის მიწოდება და ჩართულობა სხვადასხვა შემეცნებითი საკითხების ირგვლივ და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამუსიკო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 02		522,8	1 730,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)პ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 სამუსიკო სკოლა: ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის სამუსიკო სკოლები, რომლებშიც დაწყებით და საბაზისო მუსიკალურ განათლებას 2022-2023 სასწავლო წელს იღებს სულ 454 მოსწავლე. ორგანიზაციაში დასაქმებულია 50 პედაგოგი და 18 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს 5 განყოფილება: საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო, ჩასაბერი ინსტრუმენტების (ფლეიტა), დასარტყამი ინსტრუმენტების და საორკესტრო. ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობების მუსიკალური, კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, მუნიციპალიტეტის კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე კულტურულ პროცესებში, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა დაინტერესება. სამუსიკო სკოლები ხელს უწყობენ და აძლევენ შესაბამის განათლებას განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც მომავალში გეგმავენ უმაღლესი მუსიკალური განათლების მიღებას. ქვეპროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულმა ბავშვმა მიიღოს დაწყებითი მუსიკალური განათლება. მოხდეს ეროვნული უმცირესობის მუსიკალური ცნობიერების ამაღლება, რათა სკოლის ასაკიდანვე ეზიარონ ქართულ მუსიკას. მოსწავლეებმა მიიღონ მონაწილეობა, როგორც რეგიონულ ისე ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებში. სამუსიკო სკოლების პედაგოგები ვერ სარგებლობენ „პედაგოგის სტატუსით“, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ განხორციელებული პედაგოგთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების სპეციალური პროგრამებით, როგორცაა: პედაგოგთა ჯანმრთელობის დაზღვევა, დანამატი მაღალმთიან დასახლებაში დასაქმებული პედაგოგებისთვის, პედაგოგთა სერტიფიცირების შედეგად ხელფასის</p>			

	<p>ზრდა და სხვ. ამდენად, სასურველია პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად გაიზარდოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, რათა მოხდეს სკოლებში მაღალი დონის სპეციალისტების შენარჩუნება და ახალგაზრდა თაობისათვის სკოლაში მუშაობის დაწყების მოტივაციის ამაღლება. სამუსიკო სკოლებში სწავლა უფასოა, სკოლა სრულად ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.</p>
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>მუსიკალური განათლება ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლისთვის, წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა 5%-ით. მაღალია მუსიკალური კულტურა, მუნიციპალიტეტში სისტემატურად ტარდება მუსიკალური ფესტივალები და კონკურსები. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე. მნიშვნელოვნად ამაღლებულია მოსწავლეთა მუსიკალური განათლების დონე; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში და სხვა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამხატვრო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		190,8	631,5
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	<b>ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა</b>			
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	<p>ახალციხის სამხატვრო სკოლაში ისწავლება ხელოვნების შემდეგი მიმართულებები: ხატვა, ფერწერა, მოდელირება, ქანდაკება, კერამიკა, გამოყენებითი ხელოვნება, ხალხური ფარდაგების და თექის დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა. სკოლა წარმატებულია როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით. სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოფენებსა და კონკურსებში მიღებული აქვთ საპრიზო ადგილები. სკოლაში დასაქმებულია 13 თანამშრომელი, აქედან: 9 პედაგოგი და 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ახალციხის სამხატვრო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წელს ირიცხებოდა 329 მოსწავლე. სწავლის მსურველთა რიცხვი იზრდება ყოველწლიურად. სკოლის ბიუჯეტი შეადგენს 159 000 ლარს. 2024 წელს მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 350 მოსწავლის ოდენობით და ბიუჯეტი იზრდება 177 500 ლარამდე.</p> <p>მომავალი თაობების აღზრდაში, ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთათვის ხელოვნების შესწავლას. ახალციხის სამხატვრო სკოლის მიზანია მომავალი თაობების კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. ქვეპროგრამის მიზანია სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, სამუშაო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, დახვეწა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგება, შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა.</p>			
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>დაწესებულების სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებულია, ხდება მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირების მაქსიმალური ხელშეწყობა, სამუშაო ჯგუფების მუშაობა გაუმჯობესებული, დახვეწილი და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებულია. აქტიურად ხორციელდება შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაცია და სხვა.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ახალციხის ციხის“ როგორც ტურისტული ობიექტის განვითარებისა და მოვლა - პატრონობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		0,0	0,0

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p align="center"><b>ა(ა)იპ ახალციხის ციხე</b></p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „ახალციხის ციხის“ წარმოჩენა-პოპულარიზაციას, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობას ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზებით. ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, შენახვას, დასუფთავებასა და გამწვანებას.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ "ახალციხის ციხე" გახსნის დღიდან ყოველწლიურად ტურისტების მზარდ ნაკადს მასპინძლობს, საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ობიექტის სწორი პოზიციონირებით ციხის ადმინისტრაციის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაზრდაა შესაძლებელი. ა(ა)იპ "ახალციხის ციხეს" აქვს პოტენციალი კიდევ უფრო დიდი წვლილი შეიტანოს მუნიციპალიტეტის შემოსავლების, დასაქმებისა და ინვესტიციების ზრდაში. რეკლამირება, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე, ტურისტულ გამოვენებში მონაწილეობა, სწორედ დაგეგმილი ინფო-ტურები და მოწვეულ ტურისტული სააგენტოებისათვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება მნიშვნელოვნად გაზრდის "ახალციხის ციხის" და ზოგადად ქალაქის მიმართ დაინტერესებას, რაც პირდაპირ იმოქმედებს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის სწორი განვითარებისათვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ტურიზმის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაცემების სწორი ინტერპრეტირება, ხარისხიანი საცნობარი-საპრომოციო მასალის დროული მომზადება, ბეჭდვა და გავრცელება, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება.</p> <p>ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომპლექსის ინფრასტრუქტურული განვითარების უზრუნველყოფა, რაც თავისთავად გულისხმობს 11 წლის განმავლობაში ექსპლოატაციაში არსებული შენობა-ნაგებობების საჭიროების შემთხვევაში დროულ და ხარისხიან სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას, არსებული ინფრასტრუქტურის შუამდგომლობის და სსსმ პირებისთვის ადაპტირებასა და სხვა ღონისძიებების გატარებას. 8 ჰექტრამდე ტერიტორიის მოვლა პატრონობას - მწვანე საფარის ზოლის განახლება და გამრავალფეროვნებას, არსებული მრავალწლოვანი ნარგავების მოვლას, ტერიტორიის დასუფთავებას. კომპლექსის ვიზიტორების კმაყოფილებას ასევე განსაზღვრავს როგორც ციხის ტერიტორიაზე, ასევე ქალაქ ახალციხის მასშტაბით არსებული (სწრაფი) კვების ობიექტების, სუვენირების მაღაზიების, სასტუმროების, ბარების, კაფეების, რესტორნებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართულობა და ხელმისაწვდომობა. კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი მუდმივად ზრუნავს და აახლებს საინფორმაციო ბაზას რეგიონის და ქალაქის სასტუმროების ფასების, ადგილების რაოდენობისა და სპეციალური შეთავაზებების შესახებ. ადგილზე ასევე შესაძლებელია რეგიონის მასშტაბით მოძრავი საჯარო ტრანსპორტის გრაფიკისა და ფასების შესახებ ინფორმაციის მიღება ქალაქების და სოფლები მიმართულებით და სხვა.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>წარმატებით ხორციელდება ა(ა)იპ „ახალციხის ციხის“ წარმოჩენა/პოპულარიზაცია, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზებით. ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, შენახვა, დასუფთავება და გამწვანება. ინფრასტრუქტურულად გამართული ა(ა)იპ "ახალციხის ციხის" მიერ მაღალკვალიფიციური კადრებით ვიზიტორებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 07		230,1	761,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური</b>			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მინიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ხელშეწყობას, ტრანსპორტით უზრუნველყოფას კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ქვეპროგრამა განსაზღვრულია ახალციხის მუნიციპალიტეტში ტრადიციად ქცეული, სახალხო, გასართობი სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზებაზე, რომლებიც გათვლილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ასაკისა და გემოვნების ადამიანებზე, აგრეთვე ვიზიტორებისთვის სასიამოვნო, გასართობი გარემოს შექმნაზე. პროგრამები ითვალისწინებს ადგილობრივი და მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტებსა და შოუებს; ქართული და მესხური ტრადიციული კულტურის წარმოჩენასა და მის პოპულარიზაციას, ფესტივალების გამართვას და ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების სხვა ფესტივალებზე მონაწილეობას. ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას და მათ დაჯილდოებას. სოფლად მცხოვრები ადამიანების დაფასებასა და მათი ყოველდღიური ცხოვრების გამარავალფეროვნებას, სამეწარმეო ფესტივალების ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას, მათი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების მოწყობას. აქტივობების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფების - შშმ პირების, მრავალშვილიანი, მარჩენალდაკარგული და მართხელა ოჯახების, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებასთან და გარემოსთან ინტეგრაციის ხელშეწყობა. მათი მონაწილეობა და ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ასევე ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების დაფინანსებას; აგრეთვე სხვა ღონისძიებებს.</p> <p>გენდერულ საკითხებში პროგრამა ითვალისწინებს: ა) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას და ადგილობრივ დონეზე გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფას; საზოგადოების ინფორმირებას გენდერული თანასწორობის თემებთან დაკავშირებით;</p> <p>ბ) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების და სხვა პრობლემური ქცევების პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი აქტივობების ადმინისტრაციული ხელშეწყობას;</p> <p>გ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების საზოგადოებაში ჩართულობის და ინტეგრაციის ხარისხის გაზრდის მიზნით დაგეგმილი აქტივობებს;</p> <p>დ) ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით აქტივობების ორგანიზებასა და წახალისებას.</p> <p>ე) შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარებისა და გააქტიურების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი აქტივობების უზრუნველყოფას, აგრეთვე სხვა ღონისძიებებს, და სხვა.</p>			



<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობის ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანები მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა მათი შემოქმედების წარმოჩენის გზით. მუნიციპალიტეტში შექმნილია ყველა პირობა გენდერული თანასწორობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 08		100,0	331,1
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა, ხელოვნების პოპულარიზაცია და სხვ.			
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონე გაუმჯობესებულია და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 09		200,0	662,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკლესიების და მონასტრების მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და კულტურული ძეგლების და რელიგიური ორგანიზაციების ინფრასტრუქტურული მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახის შენარჩუნება, მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურიზმის ხელშეწყობა და სხვ.			
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახე შენარჩუნებულია, გაზრდილია ტურისტული პოტენციალი, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 03 01		113,4	375,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მრავალფეროვანი და გრძელვადიანი პროგრამების დაგეგმვა/განხორციელებას.</p> <p>პროგრამების დაგეგმვამდე სამსახური იკვლევს ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭიროებებს და ინტერესებს. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული პროგრამები იყოს გრძელვადიანი და შედეგებზე ორიენტირებული. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და წარმოადგენს გრძელვადიან დოკუმენტს. სტრატეგიის მიზანია ადგილზე შექმნას განვითარებისთვის ისეთი გარემო, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებათ ხარისხიან განათლებაზე და დაცული იქნება მათი შრომის უფლებები, იქნებიან აქტიური მოქალაქეები, დაინტერესდებიან ცხოვრების ჯანსაღი წესით და ექნებათ უსაფრთხო გარემო, თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, ინფორმაციული წვდომა და მათი ინიციატივები მხარდაჭერილი იქნება. ახალგაზრდებს განუვითარდებათ სამეწარმეო უნარები, მათთვის ხელმისაწვდომი იქნება მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული პროგრამები, ისარგებლებენ თანაბარი შესაძლებლობებით და სხვ.</p> <p>რეგიონისთვის მნიშვნელოვანია სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის რეალიზება და წარმოჩენა. ადგილზე შეისწავლება ყველა ტურისტულ ობიექტი. განიხილავს სხვადასხვა შესაძლებლობებს. შიდა ტურიზმის გასავითარებლად; ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან ერთად კოორდინირებულად აწყობს ტურისტულ გამოფენებს და ინფორმაციას, ბეჭდავს და ავრცელებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტების, სერვისების და ტურისტული მომსახურებების შესახებ. ამზადებს სარეკლამო-საიმიჯო რგოლებს. მიმდინარეობს ახალი ტურისტული ლოკაციებისთვის მანიშნებლების განთავსების ადგილების შერჩევა. მუშაობა მიმდინარეობს საოჯახო ტიპის სასტუმროების მფლობელებთან გასტრონომიული ტურიზმის განვითარების კუთხით, განსაკუთრებით, ადგილობრივი, მესხური კერძების პოპულარიზაციისათვის და სხვა ღონისძიებები.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი გარემო, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვა. შესწავლილი და გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები; პროფესიონალების მიერ შემუშავებულია შესაბამისი მიდგომები და პროგრამები. გაუმჯობესებულია ახალგაზრდების მდგომარეობა. ახალგაზრდების ინტელექტუალური დონე მნიშვნელოვნად ამაღლებულია, პროექტები განხორციელებულია თვისობრივად და ხარისხობრივად მაღალორგანიზებულად და სხვ.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	თეატრები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 04		125,0	413,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ფინანსურ მხარდაჭერას და ხელშეწყობას.</p> <p>პროგრამის მიზანია ხელოვნების პოპულარიზაცია, რეგიონში კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მოქალაქეების მხრიდან ხელოვნების მიმართ დაინტერესება და სხვ.			

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 05		30,0	99,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და USAID/Zrda-ის მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულმა ექვსივე მუნიციპალიტეტმა (ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) დააფუძნა სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. ორგანიზაცია წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს და მისი არსებობა დამოუკიდებელია მისი წევრებისგან. სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია მიზნად ისახავს სფეროში ჩართულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას რეგიონში. ტურისტული აქტივობებისა და მიმართულებების მხარდასაჭერად, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისაკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორებსა და თვითონ ორგანიზაციის წევრებს შორის. აქტივობები განხორციელდება სტრატეგიის შემუშავებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების კუთხით, ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების მიხედვით. ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას, როგორც ორგანიზაციის წევრების, ასევე ზოგადად, რეგიონში ტურიზმის სექტორის საკეთილდღეოდ; წახალისებს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობას რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებისთვის აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად. ხელს შეუწყობს რეგიონში მოქმედი ბიზნეს-კომპანიების ხარისხის განვითარებას და რეგიონის იმიჯის შექმნას, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	რეგიონის ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა, ტურიზმის სფეროში ჩართული მხარეების (სთეიქჰოლდერების) კოორდინაცია და სამცხე-ჯავახეთის, როგორც დანიშნულების ადგილის მარკეტინგი და სხვ.			

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი გავითარებისათვის“-ის შემდეგ მიზნებთან:

- მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
- მიზანი 3. ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 876,7	1 970,5	2 069,1	2 172,5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0
06 01 02	ამბულატორიების ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა, რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0
06 02	სოციალური დაცვა	1 876,6	1 970,5	2 069,1	2 172,5
06 02 01	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	4,2	4,4	4,6	4,9
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	270,0	283,5	297,7	312,6
06 02 03	II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	16,0	16,8	17,6	18,5
06 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	238,2	250,1	262,6	275,7
06 02 05	ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება	18,0	18,9	19,8	20,8
06 02 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	311,2	326,7	343,1	360,2

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
06 02 07	99 წელს გადაცილებულ უზუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება	42,0	44,1	46,3	48,6
06 02 08	ქალაქ ახალციხეში მგზავრთა დაგაყვანის შეღავათის პროგრამა	44,0	46,2	48,5	50,9
06 02 09	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	99,0	103,9	109,1	114,6
06 02 10	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება	24,0	25,2	26,5	27,8
06 02 11	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	810,0	850,5	893,0	937,7

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ამბულატორიების ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია და მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
			0,0	0,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	06 01 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ახალი ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციას, პროგრამის მიზანია ახალი ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უკეთესი პირობების შექმნა, ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესება და სხვა.		

### სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების გაცემას. მზრუნველობამოკლებულთა უზრუნველყოფას უფასო კვებითა და თავშესაფრით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		4,2	13,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს დევნილთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ (მიმდინარე საანგარიშო წელს) გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას, ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავყოფა და სხვა.			
მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფებისათვის შემსუბუქებულია სოციალური მდგომარეობა და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		270,0	893,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისთვის და შშმ ბავშვთათვის ყოველთვიური, კვარტალური და ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მნიშვნელოვნად გამოხატული უსინათლო პირებისათვის არაფორმალური განათლების მისაღებად ხმოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და შშმ პირების ადაპტირებულ დასასვენებელ სახლში შესაბამისი პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, ბენეფიციარებისთვის სხვა სერვისების მიწოდების ხელშეწყობა და სხვ. ქვეპროგრამის მიზანია მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის და მათი ოჯახებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება და სხვ.			
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარებისთვის შემცირებული ხარჯები, მეტი ინტეგრირებული ოჯახი საზოგადოებაში და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		16,0	52,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს II მსოფლიო ომის ვეტერანთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა ტერიტორიული ბრძოლების შედეგად დაზარალებულ, ომის მონაწილე შშმ პირთა და აღნიშნულ ბრძოლებში გარდაცვლილთა ოჯახების სოციალურ დახმარებას ფულადი ფორმით, სერვისების მიწოდების ხელშეწყობას. ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის და მათი ოჯახებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება, ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავყოფა და სხვა.			
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარისთვის შემცირებული ხარჯები და სხვა.			
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი პირების, უსახლკაროების კვებით უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		238,2	788,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფა ხდება მათი მომართვის საფუძველზე. დღეის მდგომარეობით 190 -მდე სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირის, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის განაცხადია გაკეთებული სოციალურ სამსახურში კვებით უზრუნველსაყოფად. სათნოების სახლს აქვს 200 ბენეფიციარის გამოკვების შესაძლებლობა ქალაქის მასშტაბით. მომავალი წლისთვის არ იგეგმება მომართვიანობის ზრდა, ვინაიდან დღეის მდგომარეობით არ გვყავს 190 ბენეფიციარზე მეტი. ბენეფიციარების უმეტეს ნაწილს ასაკოვანი ადამიანები შეადგენენ, ამიტომ გარდაცვალების რისკიც საკმაოდ მაღალია. ამის გამო წლის განმავლობაში ხშირად ხდება ბენეფიციარების ჩანაცვლება. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ბენეფიციართა ძირითად ნაწილს ქალბატონები წარმოადგენენ, რადგან მამაკაცები სხვადასხვა მიზეზის გამო არ მიმართავენ სოციალურ სამსახურს დახმარებისთვის, ხშირად სხვა ბენეფიციართა დახმარებით ხერხდება მათი დაკმაყოფილება, აქედან გამომდინარე, საჭიროა მათთან მეტი შემეცნებითი სახის მუშაობა.</p> <p>დაწესებულების ბენეფიციართა 70 პროცენტი კმაყოფილია არსებული მდგომარეობით. ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების კვებით უზრუნველყოფა, სოციალური, მორალური დახმარება და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	„სათნოების სახლში“ შექმნილია სრულფასოვანი და სანდო გარემო. გარდაილია უკეთესად გამოკვებილი, ნდობით განმსჭვალული და კმაყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		18,0	59,6

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართზე ხანძრით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემა. ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. ოჯახების სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება. მორალური და ეკონომიკური მხარდაჭერა. ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და სხვ.
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარებისთვის შემცირებული ხარჯები და სხვა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		311,2	1 030,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება			
